#326 2015 წლის 6 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2015 წლის 12 მაისს გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებით (ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტი) გათვალისწინებული გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადება საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2015 წლის 12 მაისს გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების (ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტი) ფარგლებში გამოყოფილი თანხის - 3 000 000 (სამი მილიონი) ევროს (შემდგომში – გრანტი) გამოყენების თაობაზე.

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2015 წლის 12 მაისს გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებით (ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტი) გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ირაკლი ღარიბაშვილი